სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ქუთაისის „ბაგრატი“ - მარნეულის „არმაზი“		
გუნდი	ქუთაისის „ბაგრატი“	**შეჯიბრი**	**I ლიგა**
მატჩის თარიღი	16/09/2023	**მატჩის ადგილი**	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.**		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	ქუთაისის „ბაგრატი“-ს დირექტორი	**დაბადების თარიღი**	
სახელი, გვარი	დავით იობიძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი -გელა ლემონჯავა კიდის მსაჯი - ნიკოლოზ ლაღაძე კიდის მსაჯი - შოთა ცაგარეიშვილი	**დარღვევა**	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია (აღიარებულია ნაწილობრივ)
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია-ქცევის კოდექსი/არამართებული ქცევა - 8.13 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;	☐ **წითელი ბარათი** ☒ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	21/09/2023	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** დისტანციური ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☒ არა	

დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის ოფიციალურ პირთა - მატჩის მსაჯის -გელა ლემონჯავას, კიდის მსაჯის - ნიკოლოზ ლაღაძის, კიდის მსაჯის - შოთა ცაგარეიშვილის - საითინგები.		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის -გელა ლემონჯავას საითინგი;
2. კიდის მსაჯის - ნიკოლოზ ლაღაძის საითინგი;
3. კიდის მსაჯის - შოთა ცაგარეიშვილის საითინგი;
4. მატჩის მეთვალყურის - მარიამ მახათაძის მატჩის ოქმი;
5. ქუთაისის „ბაგრატი“-ს დირექტორის დავით იობიძის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;
6. „აია არენა“-ს დაცვის თანამშრომელის, მირზა ბენიძის, სატელეფონო გომოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე, სატელეფონო გამოკითხვისას, ქუთაისის „ბაგრატი“-ს დირექტორმა, დავით იობიძემ, ნაწილობრივ აღიარა დისციპლინარული დარღვევა, კერძოდ მატჩის ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფა (დედის გინება) რაც მისი თქმით გამოწვეული იყო არაკომპეტენტური და მიკერძოებული მსაჯობით. დავით იობიძემ კატეგორიულად უარყო, მატჩის ოფიციალური პირების საითინგებში აღნიშნული, მისი მხრიდან მატჩის ოფიციალური პირების მიმართ მუქარის შემცველი სიტყვების ან ქმედების ფაქტი.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 16/09/2023 გაიმართა I ლიგის I ტურის მატჩი ქუთაისის „ბაგრატი“-სა და მარნეულის „არმაზს“ შორის;
2. მატჩის მსაჯის, გელა ლემონჯავას, საითინგის მიხედვით (ციტირება) – *„თამაშის მიწურულს, კლუბის დამფუძნებელმა დავით იობიძემ მომაყენა სიტყვიერი შეურაწყოფა (დედის გინება). თამაშის დასრულებისთანავე აგრძელებდა გინებას და მოდიოდა ჩემკენ, მემუქრებოდა გარეთ გამოსვლით და დაჭრით. აკავებდა 3 კაცი და არ უშვებდა ჩემამდე, სიტუაცია უსაფრთხო და მისი მხრიდან უკონტროლო იყო. შეურაწყოდები და მუქარები გრძელდებოდა დიდი ხნის მანძილზე. სტადიონიდან გამოსვლა გართულდა. მუქარები იყო სიცოცლისთვის საზიანო „ქუთაისიდან თქვენ ცოცხლებს არ გაგიშვერბთ, დაგჭრით, ფეხებს დაგიხვრიტავთ“. შეურაწყოფა არ შეწყვეტილა ამ დროის მანძილზე. ჩვენი გასახდელში შესვლის შემდეგ მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე გველოდებოდა.“*
3. მატჩის კიდის მსაჯის, ნიკოლოზ ლაღაძის, საითინგის მიხედვით (ციტირება) – *„თამაშის მიწურულს, კლუბის დამფუძნებელი დათო იობიძე აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებაზე,*

შემდეგ დაიწყო მსაჯის მიმართ სიტყვიერი შეურაწყოფა, აგინებდა დედას. თამაშის დასწულების შემდეგ მოედნის გასასვლელთან ახლოს მოდიოდა,მას აკავებდა რამოდენიმე პიროვნება. შეურაწყოფა გრძელდებოდა და დაიწყო მუქარა. მუქარა იყო საფრთხის შემცველი, და სიცოცხლისთვის საზიანო. მსაჯების გასვლა მოედნიდან სირთულეს წარმოადგენდა და გასახდელში შესვლის დროს გრძელდებოდა მუქარა და გვეუბნებოდა რომ გარეთ გველოდებოდა და ქუთაისიდან მსაჯს ცოცხალს არ გაუშვებდა. გასახდელში შესვლის შემდეგ გასახდელიდან გამოსვლაც უსაფრთხო იყო და მოედანი მსაჯებმა დავტოვეთ დაცვის თანხლებით სხვა გასასვლელიდან ისე რომ ვერ დაგვინახა აღნიშნულმა პიროვნებამ. ის კი ისევ მოედნის გასასვლელთან გველოდებოდა როგორც დაცვამ გვითხრა.“

4. მატჩის კიდის მსაჯის, შოთა ცაგარეიშვილის, საითინგის მიხედვით (ციტირება) – *„თამაშის დასრულების შემდეგ ბაგრატის პრეზიდენტ დათო იობიძისგან იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა და მუქარა. გვემუქრებოდა სროლით, დაჭრით და არ წყვეტდა გინებას. ცადა ჩვენკენ გამოქცევა, მაგრამ რამდენიმე ადამიანმა შეაკავა. მოედნის დატოვება მოგვიწია უკანა გასასვლელიდან, რადგან თამაშის შემდეგ გველოდებოდა სტადიონის მთავარ გასასვლელთან და არ იყო უსაფრთხო.“*
5. მატჩის მეთვალყურის, მარიამ მახათაძის, მატჩის ოქმის მიხედვით - მატჩის მეორე ნახევრის დასრულების შემდეგ ადგილი ჰქონდა ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელის, დავით იობიძის, მხრიდან მატჩის ოფიციალური პირების (მსაჯების) სიტყვიერი შეურაცხყოფის და მათ მიმართ მუქარის ფაქტს.
6. ქუთაისის „აია არენა“-ს დაცვის თანამშრომელის მირზა ბენიძის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - თამაშის დასრულების შემდეგ ქუთაისის „ბაგრატი“-ს წარმომადგენელის, დავით იობიძის, მხრიდან ადგილი ჰქონდა მატჩის ოფიციალური პირების მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის და მუქარის ფაქტს.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ, მხარს უჭერს მსაჯების საიტინგს და მიჩნია რომ არ არსებობს წამოდგენილ მტკიცებულებებში ეჭვის შეტანის საფუძველი.
2. რაც შეეხება ბაგრატის წარმომადგენილს მხრიდან არგუმენტაციას რომ მსაჯები იყვნენ მიკერძოვებული და ამან განაპირობა მისი მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მსაჯების მიმართ, **დავით იობიძეს განემარტოს** რომ მიკერძოვება არის მძიმე ბრალდება, რომელსაც სჭირდება დამტკიცება და თუ ასეთი მტკიცებულებების გააჩნია მან უნდა მიმართოს სრკ-ს სადიცსიპლინო სამსახურს.
3. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა ასევე დავით იობიძის დარღვევის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებზე, კომისია თვლის, რომ დარღვევა იყო მრავალჯერადი, განგრძობადი და მას არ გააჩნიაია რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება. პირიქით, სადისციპლინო კომისია დავით იობიძის ქმედებას აფასებს როგორც დარღვევას ჩადენილს დამამძიმებელ გარემოებაში ვინაიდან სიტყივიერი შეურაცხყოფა და მუქარა იყო არაერთგზის და მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტის დროს იქ მყოფი სხვა პირები ცდილობდნენ შეეკავებინათ დავით იობიძე, ის არ ჩერდებოდა

ელოდებოდა მსაჯებს გასასვლელში და სტადიონის დაცვა იძულებული გახდა სხვა გაგასვლელიდან გაეყვანა მსაჯთა ბრიგადა.

4. სადისციპლინო კომისია თვლის, რომ დავით იობიძის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე მატჩის ოფიციალური პირების მიმართ გამოყენებული მუქარა არის უკიდურესად მძიმე და საფრთხის შემცველი, გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიიჩნევს მას გარკვეული პერიოდით საერთოდ აეკრძალოს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ ნებისმიერი დონის ყველა თამაშზე სათამაშო სივრცეში ყოფნა.
5. აღსანიშნავია, ასევე ის ფაქტიც რომ მასპინძელმა კლუბმა ვერ უზრუნველყო მატჩის ოფიციალური პირების უსაფრთხოება, რაც არღვევს როგორც რაგბის კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძირითად მოთხოვნებს, ასევე ზოგადად რაგბის ფასეულობებს. გამომდინარე აქედან კომისია მართებულად მიიჩნევს კლუბის ფინანსურ დაჯარიმებას.
6. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების შესახებ და სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 10.4 პუნქტის (მტკიცებულების სტანდარტი სადისციპლინო ტრიბუნალის მიერ წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე ყოველთვის ემყარება ალტერნატივების ბალანსის პრინციპს და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.) მიხედვით დაადგინა: ქუთაისის „ბაგრატი“-ს დირექტორის, დავით იობიძის, მხრიდან ადილი ჰქონდა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.13 პუნქტის (არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;) სერიოზულ დარღვევას.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	22/09/2023 – 31/08/2024	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	22/09/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	31/08/2024	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.4 ზ) პუნქტი**	კლუბ ქუთაისის „ბაგრატს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 2000(ორი ათასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 22 ოქტომბრამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	**დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ პიროვნებას, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 9.4 ზ) პუნქტის მიხედვით, ეკრძალება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის(საფესტივალო, ჭაბუკთა და კაცთა ლიგები, როგორც 15 კაცა ასევე სხვა ყველა სახეობის რაგბი) ყველა თამაშებზე სათამაშო სივრცეში ყოფნა, რაც სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 2.12 პუნქტის მიხედვით გულისხმობს: სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	22/09/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**